ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და ხლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ხახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მგართველობის გამოცემა

1933 წ. დეკემბრის 25. № 25 ცფილისი

შინაარსი

სახელმწიფო წყობილება

311. საქართველოს სსრ-ის ზოგიერთი რაიონისა და სარაიონო ცენტრის გადარქმევის შესახებ.

312. თელავის რაიონის შედგენილობაში მთათუშეთის სასოფლო საბჭოს მოწყობის შესახებ.

313. აღბულახ-მანგლისის რაიონის შედგენილობაში თონეთის სასოფლო საბჭოს მოწყობის შესახებ.

ხახალხო მეურნეობის საერთო საკითხები

314. 1933 წლის წლიური ანგარიშებისა და ბალანსების შედგენისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

სამოქალაქო სამართალი

315. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 114 მუხლის შეცვლის შესახებ.

316. „დაჭერილი სადგომებიდან მოქალაქეთა ადმინისტრატიული წესით გამოსახლების თაობაზე" გამოცემული დეკრეტის (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 172 მუხლის დანართი) მე-2 მუხლის „ნ" პუნქტის შეცვლის შესახებ.

317. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 430 მუხლის დანართის—გახსნილი მემკვიდრეობის შესახებ სახელმწიფო დაწესებულებათა, თანამდგომობის პირთა და სახლის ადმინისტრაციის მიერ საფინანსო ორგანოებისათვის ცნობების წარდგენის წესის თაობაზე—ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

მშენებლობა.

318. კაპიტალური მშენებლობის აღრიცხვის მოწესრიგების შესახებ.

319. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ადგილობრივი მნიშვნელობის მრეწველობის საწარმოთა მიერ დანამზადი აგურის ზღვრული საგასაცემო ფასების დაწესების შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

320. სიმინდის და სოიას სათესლე და სადაზღვეო ფონდების შეგროვების შესახებ.

321. 1934 წლის გაზაფხულისთვის სათესლე კარტოფილით კოლექტიური მეურნეობებისა და ერთპიროვნული მეურნეობების უზრუნველყოფის შესახებ.

322. კოლექტიურ მეურნეობებსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს შორის ანგარიშის გასწორების წესის შესახებ.

323. კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მშრომელ მეურნეთა მიერ სასოფლო-სამეურნეო კულტურების დათესვისა და სახელმწიფოსათვის მარცვლეულის და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების მტკიცე ვალდებულებათა პირველად შეუსრულებლობის გამო გადასახდელის დადების წესის შესახებ.

სანადირო და სათევზე მეურნეობა

324. ნადირობის დებულების გაუქმების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჭრობა. მომარაგება

325. „ზაგოტზერნოს“ სისტემის ტარა-ტომრებით უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

326. „სამინდე გამოსაღების წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლის შეცვლის შესახებ.

327. საქართველოს სსრ-ში 1933 წლის მოსავლის ახალზეთოვანი კულტურების დამზადების გეგმისა და მოწყობის შესახებ.

328. ბამბის ადგილობრივ ჩარჩენის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

329 კოლექტიური მეურნეობებისა და ერთპიროვნული შრომითი საგლეხო მეურნეობების მიერ შემსყიდველ პუნქტებამდე ხილბოსტნეული ტვირთის 15 კილომეტრიანი რადიუსის მეტ მანძილზე გადაზიდვისათვის სასყიდლის გადახდის შესახებ.

330. სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარების კანონის განხორციელების შესახებ.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

331. „საქართველოს სსრ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის თაობაზე“ გამოცემული დადგენილებისათვის 28[1] მუხლის დამატების შესახებ.

შრომა

332. საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატის და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს გაერთიანებისა და ამ გაერთიანების წესის შესახებ.

333. „ნატურალური წყალსამეურნეო ბეგარის თაობაზე“ გამოცემული 1931 წ. აპრილის 19-ის დადგენილების შესავალი ნაწილის შეცვლის შესახებ.

განათლება

334. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის აპარატის რეორგანიზაციის შესახებ.

ხიხლის სამართალი

335. „დარღვევის ობიექტის ღირებულებასთან ჯერადობითი შეფარდებით დასადგენ ფულად გადასახდელთა რაოდენობის გამოანგარიშების საფუძვლების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების 1-ლი მუხლის „ა“ პუნქტის შეცვლის შესახებ.

სახამართლო წყობილება და სამართლის წარმოება.

336. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის XXXI თავისათვის 336[1] 336[2], და 336[3] მუხლების დამატები შესახებ.

სახელმწიფო წყობილება

311. დადგენილება ც. ა. კ.

საქართველოს სსრ-ის ზოგიერთი რაიონისა და რაიონული ცენტრის გადარქმევის შესახებ.

საქართველოს სსრ-ის ზოგიერთი რაიონისა და სარაიონო ცენტრის გადარქმევის შესახებ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1933 წ. აპრილის 7-ისა და აგვისტოს 17-ის დადგენილების შესაბამისად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადარქმეულ იქნეს:

ა) ხევის რაიონი—ყაზბეგის რაიონად;

ბ) ერწო-თიანეთის რაიონი—თიანეთის რაიონად და მისი ცენტრი სოფ. ქვემო-თიანეთი—სოფ. თიანეთად;

გ) გარე-კახეთის რაიონი—საგარეჯოს რაიონად;

დ) ტოლოშის რაიონი—ასპინძის რაიონად (ცენტრით სოფ. ასპინძაში);

ე) სოფ. ბარმაქსიზი (წალკის რაიონის ცენტრი)—სოფ. წალკად;

ვ) სოფ. ყარატაფა (ყარაიას რაიონის ცენტრი)—სოფ. ყარაიად.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1933 წ. ოქტომბრის 27.
ტფილისი.

---

312. დადგენილება ც. ა. კ.

თელავის რაიონის შედგენილობაში მთა-თუშეთის სასოფლო საბჭოს მოწყობის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

თელავის რაიონის შედგენილობაში მოწყობილ იქნეს მთა-თუშეთის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფ. ომალოში, და მიეკუთვნოს ამ სასოფლო საბჭოს მთა-თუშეთში შემავალი სოფლები, რომლებიც გამოიყოს იმავე რაიონის ალვანის სასოფლო საბჭოს სოფლების შედგენილობიდან.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1933 წ. ოქტომბრის 3
ტფილისი.

---

313. დადგენილება ც. ა. კ.

ალბულახ-მანგლისის რაიონის შედგენილობაში თონეთის სასოფლო საბჭოს მოწყობის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ალბულახ-მანგლისის რაიონის შედგენილობაში მოწყობილ იქნეს თონეთის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფ. დიდ-თონეთში, და მიეკუთვნოს ამ სასოფლო საბჭოს სოფლები დიდი-თონეთი, პატარა თონეთი, ზიმოვნიკი, მოხისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ნაოსარი, რომლებიც გამოყოფილ იქნეს იმავე რაიონის მანგლისის სასოფლო საბჭოს სოფლების შედგენილობიდან.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი თ. ულენტი.

1933 წ. ოქტომბრის 14.

ტფილისი.

სახალხო ნეურნეოგბის საერთო საკითხები

314. დადგენილება ს. კ. ს.

1933 წლის წლიური ანგარიშებისა და ბალანსების შედგენისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

1933 წლის წლიური ანგარიშებისა და ბალანსების თავის დროზე და სათანადოდ შედგენის მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ყველა რესპუბლიკანურ უწყებასა და ორგანიზაციას, მისი ხელმძღვანელის პირადი პასუხისმგებლობით, უზრუნველყოს 1933 წლის წლიური ანგარიშებისა და ბალანსების თავის დროზე და სათანადოდ შედგენა.

ამ მიზნით:

ა) გამოყოფილ იქნენ ყველა სახალხო კომისარიატსა და ცენტრალურ ორგანიზაციაში სპეციალური ჯგუფები ან სპეციალური პირები, რომელნიც პასუხისმგებელნი იქნებიან წლიური ანგარიშების (საბალანსო ნაწილი), მომქმედი კანონმდებლობის მიხედვით, შესადგენად საჭირო მუშაობის ხელმძღვანელობისათვის;

ბ) ლიკვიდირებულ იქნეს ერთი თვის ვადაზე ყველა უწყებაში ჩამორჩენილობა წლიური ანგარიშებისა და ბალანსების შედგენის საქმეში;

გ) წლიური ანგარიშების შედგენის კამპანიაში ფართო საზოგადოებრიობის ჩაბმის მიზნით მოწყობილ იქნეს აღრიცხვის დარგში მომუშავეთა თათბირებზე, ადგილობრივ მუშათა საზოგადოებრიობის მონაწილეობით, სათანადო მოხსენებები საანგარიშო სამუშაოების მდგომარეობის შესახებ;

დ) წლიური ანგარიშების შედგენის კამპანიის წარმატებით ჩატარების მიზნით წინადადება მიეცეს უწყებებს—ფართოდ გაშალონ შრომის სოციალისტური ფორმები (სოცშეჯიბრება და დამკვრელობა) და სათანადოდ დააპრემირონ საუკეთესო დამკვრელები და სამუშაოს წარმატებით შემსრულებელი პირები;

ე) მიღებულ იქნეს სადისციპლინო ზემოქმედების ღონისძიებანი იმ პირთა წინააღმდეგ, ვინც არაკეთილსინდისიერად შეასრულებს დაკისრებულ სამუშაოს და ამით ჩაშლის ანგარიშების შედგენის კამპანიის ჩატარებას;

ვ) შესაძლებლად იქნეს ცნობილი საჭირო მომუშავეების გადაგზავნა აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილებაში სხვა განყოფილებებიდან.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს—უზრუნველყოს სათანადო საალრიცხვო კადრების მომზადება და გარდამზადება სასწავლო კომბინატის არსებულ კურსებზე თვით უწყებების ხარჯით მათი განაცხადების თანახმად.

3. წინადადება მიეცეს უწყებებს და ორგანიზაციებს—თავის დროზე იხმარონ ღონისძიება თავიანთი ქვედა ორგანიზაციების (ფაბრიკა, ქარხანა, საწარმო და სხვ.), წლიური ანგარიშგების ფორმებით და სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ორგანოების ინსტრუქციებით უზრუნველყოფისათვის.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს—დაამყაროს მუდმივი ზედამხედველობა და კონტროლი წლიური ანგარიშებისა და ბალანსების შედგენის კამპანიის ჩატარებისათვის და უწყებების და ორგანიზაციების მიერ ამა დადგენილების დარღვევის ყოველი შემთხვევა აცნობოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს.

5. წინადადება მიეცეს სახელმწიფო პროკურატურის ორგანოებს—პასუხისგებაში აძლიონ, საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს წარდგენისამებრ, ამა დადგენილებისა და აგრეთვე ამავე საკითხზე არსებული დადგენილებებისა და დირექტივების დარღვევაში დამნაშავე პირნი.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—განახორციელონ ანალოგიური ღონისძიებანი.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი**

საქ. სსრ. ს. კ.-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ვ. თათეიშვილი**

1933 წ. ოქტომბრის 5.

ტფილისი.

სამოქალაქო სამართალი

315. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 114 მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 114 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„114. უკეთუ კრედიტორი ადგილობრივ არ იმყოფება, ან თავს აარიდებს შესრულების მიღებას, ან სხვაგვარად ვადას გადააცილებს, და, აგრეთვე, უკეთუ იგი არაქმედობაუნარიანია, და თანაც ადგილობრივ არ იმყოფება მისი წარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომადგენელი, უფლებამოსილი და თანახმა მიიღოს შესრულება, მოვალეს შეუძლია, რაც ჰმართებს, შეიტანოს სანოტარო კონტორის დეპოზიტად, ხოლო სანოტარო კონტორა აცნობებს ამას კრედიტორს".

114 მუხლის შენიშვნა გაუქმებულ იქნეს.

სრ. საქ. ც. ა. კ.-ის თავმჯდომარე ფ. **მახარაძე.**

საქ. სრ. ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ელენტი.**

1933 წ. ოქტომბრის 27.

ტფილისი.

---

316. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„დაჭერილი სადგომებიდან მოქალაქეთა ადმინისტრატიული წესით გამოსახლების თაობაზე" გამოცემული დეკრეტის (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 172 მუხლის დანართი) მე-2 მუხლის „ნ" პუნქტის შეცვლის შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. ივნისის 27-ის დადგენილების შესაბამისად, რომლითაც შევსებულია მე-2 მუხლი 1932 წ. ნოემბრის 15-ის დადგენილებისა „არაპატივსადები მიზეზით მუშაობის გაცდენისათვის დათხოვნის შესახებ", სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„დაჭერილი სადგომებიდან მოქალაქეთა ადმინისტრატიული წესით გამოსახლების შესახებ" გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. მარტის 20-ის დეკრეტის (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 172 მუხლის დანართი) მე-2 მუხლის „ნ" პუნქტი (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-7 №-ი, მუხ. 103) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

2. [ადმინისტრატიული წესით გამოსახლება, გამოსახლებულისათვის თავისუფალი საცხოვრებელი სივრცის მიუცემლად, შეიძლება ყოველ ექვს წლის განმავლობაში:....]

ნ) საწარმოთა და დაწესებულებათა კუთვნილ საცხოვრებელ ფონდში ამ საწარმოთა და დაწესებულებათა მომუშავისათვის მიჩენილი სადგომიდან, უკეთუ იგი დათხოვნილია შრომის კანონთა კოდექსის 47[1] მუხლის წესისამებრ მუშაობის გაცდენისათვის".

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ელენტი**

1933 წ. ოქტომბრის 27

ტფილისი.

---

317. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 430 მუხლის დანართის—გახსნილი მემკვიდ-რეობის შესახებ სახელმწიფო დაწესებულებათა, თანამდებობის პირთა და სახლის ადმინისტრაციის მიერ საფინანსო ორგანოებისათვის ცნობების წარ-დგენის წესის ოთობაზე—ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. ივლისის 5-ის დადგენილებით დამტკიცებული დანართი სამოქალაქო სამართლის კოდექსის 430 მუხლისა—გახსნილი მემკვიდრეობის თაობაზე სახელმწიფო დაწესებულებათა, თანამდებობის პირთა და სახლის ადმინისტრაციის მიერ საფინანსო ორგანოებისათვის ცნობების წარდგენის წესის შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1926 წ. მე-3 №-ი, მუხ. 89) ჩაითვალოს ძალადაკარგულად, რადგანაც აღნიშნულ საკითხს აწესრიგებს ა/კსფსრ კანონმდებლობის წესით გამოცემული დებულება მემკვიდრეობისა და გაჩუქების წესით გადასული ქონების გადასახადის შესახებ ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-14 №-ი, მუხ. 111).

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. **მახარაძე**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი**

1933 წ. ოქტომბრის 27,
ტფილისი.

მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ა

318. დადგენილება ს. კ. ს.

კაპიტალური მშენებლობის აღრიცხვის მოწესრიგების შესახებ.

ვინაიდან კაპიტალურ სამუშაოთა და კაპიტალური მშენებლობის საქმეში შემჩნეულია მთელი რიგი ნაკლოვანებანი, როგორიც არის: ა) აღრიცხვის მაჩვენებელთა მტკიცე სისტემის უქონლობა და სხვადასხვა უწყებაში აღრიცხვის სხვადასხვა სისტემით წარმოება; ბ) სრული უდისციპლინობა მშენებლობაში აღრიცხვის და ანგარიშგების ხაზით და ცნობების წარდგენისათვის თავის არიდება; გ) აღრიცხვის ისეთი ფორმებით წარმოება, რაც დამტკიცებული არ არის სახალხო-სამეურნეო ორგანოების მიერ, და პარალელიზმი მუშაობაში; დ) მშენებლობაში საწარმოო ხარჯთაღრიცხვების და პირველადი აღრიცხვის ფორმების უქონლობა; ე) საღრიცხვო აპარატის სრული დაცალიერება უწყებებსა და მშენებლობაში და საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯების 20%-ის გამოუყენებლობა აღრიცხვის საჭიროებისათვის და ვ) ცოცხალი ხელმძღვანელობის და

ინსტრუქტაჟის სისუსტე და ხშირად სრული უქონლობაც, მშენებლობის საღ-
რიცხვო აპარატის არასაკმარისი მოქნილობა და სხვა მისთ.,—საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აღიძრას სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის სახალხო-სამე-
ურნეო აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს წინაშე საკითხი—მშენებლობის
აღრიცხვის სფეროში გამარტივებული და მტკიცე სისტემის მაჩვენებელთა შემუ-
შავების შესახებ.

2. წინადადება მიეცეს ყველა უწყებას, სამეურნეო ორგანიზაციას და მშე-
ნებლობას—მოსპოს აღრიცხვის წარმოება ისეთი ფორმებით, რაც დამტკიცებუ-
ლი არ არის სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ორგანოების მიერ, და 1933 წლი-
სათვის შემოიღოს ხმარებაში სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის სა-
ხალხო-სამეურნეო აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს მიერ დამუშავებული
ფორმები.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის
სამმართველოს—იხმაროს სასწრაფო ღონისძიება მიმდინარე (ყოველთვიური)
ოპერატიული აღრიცხვის მოწესრიგებისათვის და დაამყაროს განსაკუთრებული
ზედამხედველობა აღრიცხვისა და ანგარიშგების საქმის დაყენებისათვის დიდ
მშენებლობებში, წინასწარ ასეთი ობიექტების მტკიცე სიის შემუშავებით.

4. წინადადება მიეცეს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისა-
რიატს, საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოსთან
ერთად, შეამოწმოს უმოკლეს ვადაზე, უზრუნველყოფილნი არიან, თუ არა, მშე-
ნებლობანი 1933 წლისათვის საწარმოო ხარჯთაღრიცხვებით, და გამოყოფილია,
თუ არა, საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯებიდან 20% აღრიცხვისა და
ანგარიშგების საჭიროებისათვის.

5. წინადადება მიეცეს ყველა უწყებას, სამეურნეო ორგანიზაციას და მშე-
ნებლობის ადმინისტრაციას—მტკიცედ დაიცვას წესი სათანადო ორგანოებში
მშენებლობის აღრიცხვის ცნობების თავის დროზე წარდგენისა დამტკიცებული
ფორმების თანახმად და უზრუნველყოს სამუშაოები სათანადო კვალიფიკაციის
პერსონალით.

6. წინადადება მიეცეს პროკურატურის ორგანოებს, საქართველოს სსრ
სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოსთან ერთად, უზრუნველყონ გა-
ძლიერებული ზედამხედველობით მშენებლობაში აღრიცხვის შთანერგვა და აღ-
რიცხვისა და ანგარიშგების დისციპლინის განმტკიცება, რისთვისაც პასუხისგება-
ში აძლიონ სისხლის სამართლის წესით ორგანიზაციების ხელმძღვანელნი, მშე-
ნებლობათა უფროსნი და სხვა თანამდებობის პირნი, რომელნიც სისტემატუ-
რად არღვევენ აღრიცხვის და ანგარიშგების ხაზით ცნობების წარდგენის ვადებს
და ფორმებს.

7. წინადადება მიეცეს ყველა უწყებას და ორგანიზაციას, საქართველოს
სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოსთან შეთანხმებით, უზრუნ-
ველყოს თავის მშენებლობაში აღრიცხვის პირველადი ფორმების შთანერგვა და

ალრიცხვის მომუშავეთა ხელმძღვანელობა ცოცხალი კავშირის და სისტემატური ინსტრუქტაჟის დამყარებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. გ. თათეიშვილი

1933 წ. ოქტომბრის 5
ტფილისი.

---

319. დადგენილება ს.კ.ს.

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ადგილობრივი მნიშვნელობის მრეწველობის საწარმოთა მიერ დანამზადი აგურის ზღვრული საგასაცემო ფასების დაწესების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გადიდებულ იქნეს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა მიერ დანამზადი აგურის ზღვრული საგასაცემო ფასები 80 მანეთამდე 1.000 ცალზე, 20%-ანი ზედნართის შეფარდებით ქურით მომუშავე აგურხანების მიერ დანამზადი პროდუქციისათვის.

2. დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1933 წ. აპრილის 1-დან.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. გ. თათეიშვილი.

1933 წ. ოქტომბრის 13.
ტფილისი.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

320. დადგენილება ს.კ.ს.

სიმინდის და სოიას სათესლე და სადაზღვეო ფონდების შეგროვების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სიმინდის სათესლე ფონდების 100%-ის შეგროვება კოლექტიურ მეურნეობებში და სადაზღვეო ხელუხლებელი ფონდების 15%-ის შეგროვება კოლექტიურ მეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებში რაიონობით და სექტორობით განისაზღვროს ამასთანავე დართულ ცხრილში გათვალისწინებული რაოდენობით (იხ. დანართი).

2. სიმინდის სათესლე და სადაზღვეო ფონდები უნდა დაგროვდეს და ინახებოდეს ტაროებად, რისთვისაც გადარჩეულ უნდა იქნეს საუკეთესო სათესლედ სრულიად ვარგისი ტაროები. კოლექტიურმა მეურნეობებმა ტაროები სათესლე და სადაზღვეო ფონდების დასაგროვებლად უნდა გადაარჩიონ მოსავლის განაწილებამდე. სათესლე ფონდების დასაგროვებლად კოლექტიურ მეურნეობებში და სადაზღვეო ფონდებისა—კოლექტიურ მეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებში დამთავრებულ იქნეს არა უგვიანეს 1933 წ. დეკემბრის 1-ისა.

3. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ.ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—გამოარკვიონ, რამდენია ამჟამად წარსულ წლებში დაგროვილი სიმინდის სადაზღვეო ფონდები და გაცემული სესხის რაოდენობა, და უზრუნველყონ ამ სესხის დაბრუნება 1933 წ. მოსავლიდან.

4. სოიას თესლით კოლექტიური მეურნეობებისა და ერთპიროვნული მეურნეობების უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფოსათვის სოიას ჩაბარების (მიყიდვის) ვალდებულებათა შესრულების შემდეგ, წინადადება მიეცეს ყველა კოლექტიურ მეურნეობას—დააგროვოს სოიას სათესლე ფონდის 100%, ხოლო ერთპიროვნულ მეურნეობებს—დააბრონირონ სათესლე სოია. ცალკეულ რაიონებში, 1934 წლის სოიას ნათესების ორიენტირული გეგმის მიხედვით, 100%-ანი ფონდების დაგროვება კოლექტიურ მეურნეობებში და სათესლე სოიას დაბრონირება ერთპიროვნულ მეურნეობებში უნდა მოხდეს ამასთანავე დართულ ცხრილში გათვალისწინებული რაოდენობით.

5. დაევალოს კოლექტიურ მეურნეობებს—სოიას სათესლე ფონდები დააგროვონ მოსავლის განაწილებამდე.

6. სოიას სათესლე ფონდების დაგროვება კოლექტიურ მეურნეობებში და სათესლე სოიას დაბრონირება ერთპიროვნულ მეურნეობებში დამთავრებულ იქნეს არა უგვიანეს 1933 წ. დეკემბრის 15-ისა.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. თათეიშვილი**

1933 წ. ოქტომბრის 14.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი საქ. სსრ სახალხო კომი-
სართა საბჭოს 1933 წ. ოქტომბრის 14-ის
დადნილებისა.

სიმინდის სათესლე და სადაზღვეო ფონდების დაგროვება კოლექტიურ მეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებში, სოიას სათესლე ფონდებისა კოლექტიურ მეურნეობებში და სათესლე სოიას დაბრონირება ერთპიროვნულ მეურნეობებში (მარცვალი ცენტნერობით).

რაიონები	სიმინდი				სოია	
	100% ფონდი კოლმეურნ.	15% სადაზღვეო ფონდი კოლმეურ.	15% ფონდი ერთპიროვ. მეურნ.	სულ 15% ფონდი	100% ფონდი კოლმეურნ.	დაბრონირება ერთპიროვნ. მეურნეობ.
1. ახალციხის	77	12	121	133		
2. ადიგენის	302	45	123	168		
3. ტოლოშის	101	15	18	33		
4. სტალინისის	1867	282	445	727		
5. ჯორის	1251	228	274	502		
6. კასპის	407	65	130	195		
7. ბორჯომის	17	3	96	99		
8. გურჯაანის	255	37	214	251		
9. სიღნაღის	315	47	84	131		
10. თელავის	315	43	494	537		
11. ყვარლის	107	16	225	241		
12. ლაგოდეხის	674	102	73	175		
13. ტფილისის	250	34	102	136		
14. ყარაიას	75	11	8	19		
15. ბორჩალოს	128	19	27	46		
16. ლუქსემბურგის . . .	154	23	42	65		
17. დუშეთის	180	26	53	79		
18. აღბულაღ-მანგ. . . .	95	14	21	35		
19. საგარეჯოს	352	54	199	253		
02. ბაშკიჩეთის	22	3	19	22		
21. თიანეთის	135	19	28	47		
22. სამხ.-ოსეთ. ავტ. ოლქი	1340	197	167	364		
სულ აღმოს. საქართ.	8419	1295	2963	4258		

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონები	სიმინდი				სორგო	
	100% ფონდი კოლმეურნ.	15% საადაზღვეო ფონდი კოლმეურ.	15% ფონდი ერთპიროვ. მეურნ.	სულ 15% ფონდი	100% ფონდი კოლმეურნ.	15% ფონდი ერთპიროვნ. მეურნეობ.
23. ქუთაისის	1572	236	1035	1271	328	839
24. სამტრედიის	1919	288	408	69	442	440
25. ხონის	646	97	405	502	157	564
26. ვანის	807	121	320	441	251	482
27. ბაღდადის	261	39	240	279	74	277
28. ზესტაფონის	759	114	375	489	164	449
29. ჩხარის	338	51	394	445	113	794
30. ჭიათურის	1735	260	1171	1431	254	405
31. ხორაგოულის	728	109	412	521	114	317
32. ტყიბულის	1013	152	336	488	150	155
33. ონის	697	105	39	144	—	—
34. ამბროლაურის . . .	2434	365	39	404	—	—
35. ცაგერის	907	136	276	412	—	—
36. ქვემო-სვანეთის . . .	9	1	40	41	—	—
37. აბაშის	1858	—	—	—	662	678
38. სენაკის	1841	276	604	880	333	910
39. მარტვილის	1660	249	489	738	339	370
40. ზუგდიდის	1685	253	599	852	234	255
41. ხობის	973	146	384	530	248	422
42. წალენჯიხის	524	79	314	393	148	458
43. ჩხოროწყუს	706	106	383	489	89	209
44. ოზურგეთის	2199	330	65	395	512	47
45. ლანჩხუთის	2308	346	86	432	650	35
46. ჩოხატაურის	1475	221	183	404	342	140
47. ზემო-სვანეთის . . .	—	—	25	25	—	—
48. ფოთის	49	7	25	32	—	—
49. აფხაზეთის ავტ. სსრ .	4239	636	1455	2091	—	—
50. აჭარისტანის ავტ. სსრ	182	27	863	890	31	233
სულ დასავ. საქართ. .	33524	4750	10965	15715	5635	8479
სულ რესპუბლიკაში .	41943	6045	13928	19973	5635	8479

321. დადგენილება ს.კ.ს.

1934 წლის გაზაფხულისთვის სათესლე კარტოფილით კოლექტიური მეურნეობებისა და ერთპიროვნული მეურნეობების უზრუნველყოფის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სათესლე კარტოფილით კოლექტიური მეურნეობებისა და ერთპიროვნული მეურნეობების უზრუნველყოფის მიზნით დაევალოს ყველა კოლექტიურ მეურნეობას და ერთპიროვნულ მეურნეობას, კარტოფილის მოსავლის აღებისა და სახელმწიფოსათვის კარტოფილის ჩაბარების (მიყიდვის) ვალდებულებათა აღსრულებისათანავე ჩაატაროს კარტოფილის დაბრონირება 1 ჰექტარ ნათესზე 2 ტონა კარტოფილის ანგარიშით.

1934 წლის კარტოფილის ნათესების საორიენტირო გეგმის მიხედვით და აგრეთვე იმის მიხედვით, რომ რაიონები მოვალენი არიან თვით უზრუნველყონ სავსებით თავიანთი თავი სათესლე კარტოფილით, და რომ არავითარი თხოვნა რაიონებში კარტოფილის შეზიდვის შესახებ დაკმაყოფილებული არ იქნება, სათესლე კარტოფილის დაბრონირება ცალკეულ რაიონებში უნდა სწარმოებდეს ამასთანავე დართულ ცხრილში აღნიშნული რაოდენობით (იხ. დანართი).

2. წინადადება მიეცეს საბჭოთა მეურნეობების ყველა შენაერთს—უზრუნველყოს 1934 წ. საშემოდგომო ნათესები საკუთარი სათესლე მასალით.

3. კარტოფილის სათესლე მასალად გადარჩეულ უნდა იქნეს მექანიკური დაზიანებისა და დაავადების ნიშნების არმქონე, საშუალო ოდენობის ბოლქვები, რაც წინასწარ შესანახად ჩაყრამდე, გაშრობილი და ისეთი სახის უნდა იყოს, რომ სავსებით შეესაბამებოდეს სათესლე კონდიციას.

4. სათესლე მასალა უნდა ინახებოდეს მშრალ, სინოტივისა და მიწიდან ნაქონი წყლის მიუდგომელ ადგილას; თანაც ტემპერატურა არ უნდა ეცემოდეს 2—3-ზე დაბლა, რათა კარტოფილი დაცულ იქნეს სიმძრალისაგან.

5. ზამთრის განმავლობაში, თვეში 2—3-ჯერ მაინც შესანახ ადგილას დაგროვილი კარტოფილი უნდა ისინჯებოდეს და, უკეთუ აღმოჩენილ იქნება გაფუჭების ნიშნები, გადაიწყოს დაუყოვნებლივ ახალ გროვად, ხოლო ყველა დაზიანებული ბოლქვი ამოიკრიფოს.

6. დაევალოს კოლექტიურ მეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს და ერთპიროვნულ მეურნეობებს სათესლე კარტოფილის შენახვისათვის იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ინსტრუქცია.

7. ყველა საბჭოთა მეურნეობაში პასუხისმგებლობა სათესლე კარტოფილის შენახვისათვის დაეკისროს საბჭოთა მეურნეობის დირექტორს, ხოლო კოლექტიურ მეურნეობაში—კოლექტიური მეურნეობის თავმჯდომარეს.

საქ. სსრს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. თათეიშვილი.**

1933 წ. ოქტომბრის 14.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი საქ. ხარ სახალხო კომ-
სართა საბჭოს 1933 წ. ოქტომბრის 14-ის
დადგენილებისა.

სათესლე კარტოფილის დაბრუნირება კოლექტიურ მეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებში (ტონობით).

რაიონები	კოლექტ. მეურნ.	ერთპიროვ. მეურნეობ.	სულ
1. ახალქალაქის	290	370	660
2. ბოგდანოვკის	20	200	220
3. ახალციხის	800	3600	4400
4. ადიგენის	420	980	1400
5. ტოლოშის	400	800	1200
6. სტალინისის	340	1060	1400
7. გორის	260	740	1000
8. კასპის	140	300	440
9. ბორჯომის	120	880	1000
10. გურჯაანის	180	480	660
11. სიღნაღის	200	1200	1400
12. თელავის	100	700	800
13. ყვარლის	20	180	200
14. ლაგოდეხის	400	320	720
15. ტფილისის	140	1340	1480
16. ყარაიას	40	40	80
17. ბორჩალოს	240	300	540
18. ლუქემბურგის	180	280	460
19. წალკის	200	1400	1600
20. დუშეთის	300	740	1040
21. ალბულახ-მანგლისის	560	2140	2700
22. საგარეჯოს	180	1320	1500
23. ბაშკიჩეთის	160	1440	1600
24. თიანეთის	120	680	800
25. ყაზბეგის	40	200	240
26. სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი	200	1000	1200
სულ აღმოსავლეთ საქართველოში	6050	22690	28740

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონები	კოლექტ. მეურნ.	ერთპიროვ. მეურნეობა	
27. ქუთაისის	50	350	400
28. სამტრედიის	50	30	80
29. ხონის	30	130	160
30. ვანის	44	36	80
31. ბაღდადის	6	54	60
32. ჩხარის	4	16	20
33. ჭიათურის	140	560	700
34. ხორაგოულის	80	60	140
35. ტყიბულის	30	270	300
36. ონის	400	1160	1560
37. ამბროლაურის	580	20	600
38. ცაგერის	20	20	40
39. ქვემო-სვანეთის	10	190	200
40. აბაშის	40	—	40
41. ზუგდიდის	40	—	40
42. ოზურგეთის	120	40	160
43. ჩოხატაურის	120	180	300
44. ლანჩხუთის	120	—	120
45. ზემო-სვანეთის	—	260	260
46. აფხაზეთის ასსრ	260	940	1200
47. აჭარისტანის ასსრ	480	1320	1800
სულ დასავლეთ საქართველოში	2624	5636	8260
სულ რესპუბლიკაში	8674	28326	37.000

322. დადგენილება ს.კ.ს.

კოლექტიურ მეურნეობებსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს შორის ანგარიშის გასწორების წესის შესახებ.

კოლექტიურ მეურნეობებსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს შორის ამ უკანასკნელთა მუშაობისათვის გასაცემი ნატურ-სასყიდლის გამო ანგარიშის გასწორების პროცესში მომხდარი შეცდომების გასწორების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ყველა სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს—მოახდინოს კოლექტიურ მეურნეობებსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს შორის ამ უკანასკნელთა მუშაობისათვის გასაცემი ნატურ-სასყიდლის გამო ანგარიშის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასწორების მასური შემოწმება იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად შეესაბამება ეს ანგარიშსწორება სანიმუშო ხელშეკრულებას და ამ ხელშეკრულებით დადგენილ მხარეთა ურთიერთ ვალდებულებებს.

უკეთუ გამორკვეულ იქნება, რომ მხარეთა შორის ანგარიში აღნიშნულ სახელშეკრულებო საურთიერთო ვალდებულებათა გამო შეუსაბამოდ არის გასწორებული, უნდა მოხდეს სათანადო გარდაანგარიშება.

2. დაევალოს სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს და პოლიტგანყოფილებათა უფროსებს—პირადად შეამოწმონ ყველა ანგარიშ-გასწორება სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს და კოლექტიურ მეურნეობებს შორის და თვალყური ადევნონ, რათა ხელშეკრულებების ყველა ორმხრივი პირობა შეფარდებულ იქნეს ზედმიწევნით.

3. კოლექტიურ მეურნეობასა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურს შორის აღძრულ დავას, რაც გამომდინარეობს მათ შორის დადებული ხელშეკრულებიდან, გადასწყვეტს სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე სახელმწიფო არბიტრაჟის უფლებით.

4. მიენდოს საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—უზრუნველყონ ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელება ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. თათეიშვილი.**

1933 წ. ოქტომბრის 15.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 240 №-ში 1933 წ. ოქტომბრის 17.

---

323. დადგენილება ს.ა.კ. და ს.კ.ს.

კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მშრომელ მეურნეთა მიერ სასოფლო-სამეურნეო კულტურების დათესვისა და სახელმწიფოსათვის მარცვლეულის და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ჩაბარების მტკიცე ვალდებულებათა პირველად შეუსრულებლობის გამო გადასახდელის დადების წესის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მშრომელ მეურნეთა მიერ სასოფლო-სამეურნეო კულტურების დათესვისა და სახელმწიფოსათვის მარცვლეულის და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ჩაბარების მტკიცე ვალდებულებათა პირველად შეუსრულებლობა, ქვემოაღნიშნული შემთხვევების გამოკლებით, გამოიწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის 61 მუხლის 1-ლი ნაწილის (1933 წ. გამოცემის) თანახმად.

შენიშვნა. პასუხისმგებლობა კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა მიერ ხორცის, რძის, კარაქის და მატყლის ჩაბარების ვალდებულების შეუსრულებლობისათვის განისაზღვრება სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის ინსტრუქციით.

2. ამა დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნული დანაშაულისათვის გადასახდელს დაადებენ სასოფლო საბჭოები.

3. ჯარიმა (ხუთჯერად რაოდენობამდე) გამოიანგარიშება შეუსრულებელი დავალების ღირებულობის კვალობაზე ან სასოფლო მეურნეობის ამა თუ იმ სახის პროდუქციის საბაზრო ფასის კვალობაზე, რასაც აწესებს მთელი რაიონისათვის სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის სარაიონო რწმუნებული, ხოლო, იქ, სადაც იგი არ არის—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ის მოადგილე, რომელიც გამოყოფილია დამზადებათათვის.

4. საჩივარი სასოფლო საბჭოს დადგენილებაზე შეიტანება სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტში.

საჩივრის შეტანა ჯარიმის გადახდას არ აჩერებს.

5. უკეთუ დადებული ჯარიმა გადახდილ არ იქნა ათი დღის ვადაზე დღიდან შეტყობინებისა ჯარიმის დადების შესახებ, ჯარიმა გადაიხდევინება იძულებითი წესით გადასახადთა და არასაგადასახადო გადასახდელთა გადახდევინების დებულებით განსაზღვრული წესების თანახმად (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 69 №-ი, მუხ. 410 ბ).

6. ამა დადგენილების წესისამებრ გადახდევინებული ჯარიმის თანხებიდან მიიქცევა:

ა) დათესვის ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის დადებული ჯარიმის თანხიდან: 75%—სარაიონო ბიუჯეტში, აქედან 25%-ის (ჯარიმის მთელი თანხისა) განსაკუთრებულ ფონდში ჩარიცხვით—კულაკური ძალადობისაგან დაზარალებულ პირთა და მეურნეობათათვის ერთდროული დაუბრუნებელი დახმარების მისაცემად (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-3 №-ი, მუხ. 43);

25%—სასოფლო ბიუჯეტში;

ბ) სახელმწიფოსათვის ნატურალურ მიწოდებათა ვალდებულების შეუსრულებლობის გამო დადებული ჯარიმის თანხიდან:

40%—საერთო-საკავშირო სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალში;

35%—სარაიონო ბიუჯეტში, აქედან 10%-ის (ჯარიმის მთელი თანხისა) განსაკუთრებულ ფონდში ჩარიცხვით—კულაკური ძალადობისაგან დაზარალებულ პირთა და მეურნეობათათვის ერთდროული დაუბრუნებელი დახმარების მისაცემად;

25%—სასოფლო ბიუჯეტში.

ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და და-

მოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოებს უფლება აქვთ, ადგილობრივი პირობების მიხედვით, გარდაანაწილონ ბიუჯეტების სხვადასხვა კატეგორიებს შორის ამა დადგენილების თანახმად ადგილობრივ ბიუჯეტში მიქცეული თანხები, ხოლო, ამასთანავე, არ უნდა შეამცირონ ამა მუხლით გათვალისწინებული რაოდენობა სასოფლო ბიუჯეტში გადასადები ანარიცხებისა.

7. ამა დადგენილების გამოცემისთანავე გაუქმებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. მარტის 3-ის დადგენილება „თესვისა და სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის ჩაბარების მტკიცე დავალებათა შეუსრულებლობისათვის სისხლის სამართლის კოდექსის 61 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად გადასახდელის დადების წესის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-9 №-ი, მუხ. 125).

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი თ. ჟღენტი.

1933 წ. ოქტომბრის 27.

ტფილისი.

სანადირო და სათევზე მეურნეობა

324. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ხ.

ნადირობის დებულების გაუქმების შესახებ.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. დეკემბრის 29-ის დადგენილებით დამტკიცებული ა/კსფსრ სანადირო მეურნეობის დროებითი დებულების გამოცემის გამო (ა/კსფსრ კან. კრ. 1933 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 2), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. სექტემბრის 28-ის დადგენილებით დამტკიცებული ნადირობის დებულება (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-20 №-ი, მუხ. 226) გაუქმებულ იქნეს.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს.კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი თ. ჟღენტი.

1933 წ. ოქტომბრის 27.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჭრობა. მომარაგება

325. დადგენილება ს.კ.ხ.

„ზაგოტზერნოს“ სისტემის ტარა-ტომრებით უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

ტარა-ტომრებით „ზაგოტზერნოს“ სისტემის სასწრაფოდ უზრუნველყოფის მიზნით, კერძოდ—იმ წესით, რომ საჩქაროდ მოხდეს ლიკვიდაცია საქონელ-გამტარებელი ქსელის ორგანიზაციების დავალიანების „ზაგოტზერნოს“ პუნქტებისათვის ამ ტარას დაბრუნებიდ, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მომქმედ საქონელ-გამტარებელი ქსელის ყველა ორგანიზაციას, მისი ხელმძღვანელის პირადი პასუხისმგებლობით, დაუბრუნოს სამი დღის ვადაზე „ზაგოტზერნოს“ სათანადო პუნქტს მთლად მის ხელთქონებული ტარა-ტომრები.

2. წინადადება მიეცეს „ზაგოტზერნოს“ საქართველოს კონტორას:

ა) დააწესოს სასტიკი მეთვალყურეობა ტარა ტომრების დაბრუნებისათვის;

ბ) გაუგზავნოს, არა უგვიანეს 1933 წ. ოქტომბრის 10-ისა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში იმ ორგანიზაციების სია, რომელთაც არ დაუბრუნებიათ ზემოაღნიშნული ვადისათვის ტარა-ტომრები, ამ საქმეში დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მისაცემად სასამართლო წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 116 და 117 მუხლების შესაბამისად.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატს—უზრუნველყოს აღნიშნული კატეგორიის საქმეთა რიგს გარეშე და სასწრაფო განხილვა სასამართლო ორგანოებში.

3. შეეფარდოს იმ ორგანიზაციებს, რომელნიც არღვევენ „ზაგოტზერნოს“ პუნქტებისათვის ტარა-ტომრების და ტარას დაბრუნების წესებს, შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ დადგენილი ზემოქმედების ღონისძიებანი: ტომრის ღირებულების ჯერადი ჯარიმა, ხოლო ბოროტეულ შემთხვევაში—პროდუქციის მიცემის მოსპობა.

4. წინადადება მიეცეს საქალაქო საბჭოებს—მოაწყონ სასწრაფო წესით ტარა-ტომრების და ბრეზენტების მობილიზაცია „ზაგოტზერნოს“ საჭიროებისათვის სახელმწიფო ვაჭრობის საწარმოთა, კოოპერატიულ ორგანიზაციათა და საბინაო კოოპერაციის სისტემას შორის, რისთვისაც გამოყონ სათანადო ბრიგადები.

მობილიზებული ტარა-ტომრები და ბრეზენტები უნდა ჩაბარდეს: ტფილისში—„ზაგოტზერნოს“ საქართველოს კონტორის ბაზისს, ხოლო სხვა ადგილებში—„ზაგოტზერნოს“ უახლოეს პუნქტს; ამ ტარა-ტომრებისა და ბრეზენტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისათვის „ზაგოტზერნოს“ სისტემა გადაიხდის სასყიდელს მტკიცე ფასების კვალობაზე.

დაევალოს „ზაგოტზერნოს“ საქართველოს კონტორას—წარუდგინოს ოთხთეულ ხუთდღიურზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში ცნობები ტარა-ტომრებისა და ბრეზენტების მობილიზაციის მსვლელობის შესახებ.

საქ. სსრ ს.კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. ა. ფოფიკაშვილი.

საქ. სსრ ს.კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. გ. თათეიშვილი.

1933 წ. ოქტომბრის 1.

ტფილისი.

---

326. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„სამინდე გამოსაღების წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

შეტანილ იქნეს 1932 წლის დეკემბრის 22-ის დადგენილებაში „სამინდე გამოსაღების წესების დარღვევისაოვის პასუხისმგებლობის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-2 №-ი, მუხ. 34; მე-4 №-ი, მუხ. 97) შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების მე-2 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„2. სამინდე გამოსაღების წესების სხვაგვარი დარღვევა (გამოსაღების გადაუხდევინებლობა, სასყიდლის ფულად გადახდევინება, ერთი კულტურის მეორე, უფრო ნაკლებ ფასიანი კულტურით შეცვლა და სხვა მისთ.) გამოიწვევს საწარმოს პატრონ და მოიჯარე—კერძო პირისათვის პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის კოდექსის 61 მუხლის მიხედვით (1933 წლის გამოცემა); ამასთანავე, განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში სასამართლო შეაფარდებს სოციალური დაცვის დამატებითი ღონისძიების სახით ჯარიმას ნატურად გადასახდევინებელი სამინდე გამოსაღების ღირებულების ხუთჯერად რაოდენობამდე“.

2. დადგენილებას დაემატოს მე-3² მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„3². სისხლის სამართლის კოდექსის 61 მუხლის წესისამებრ გადასახდევინებელი ფულადი ჯარიმა (მე-2 და 3 მუხ.) და ამა დადგენილების მე-2 მუხლში გათვალისწინებული ფულადი ჯარიმა, სოციალური დაცვის დამატებითი ღონისძიების სახით, გამოიანგარიშება მარცვლეულის საბაზრო ფასის კვალობაზე, რაც დადგენილია რაიონებისათვის სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის სარაიონო რწმუნებულის მიერ, ხოლო იქ, სადაც ეს რწმუნებული არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის,—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის იმ მოადგილის მიერ, რომელიც გამოყოფილია დამზადებათათვის".

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ა. ჟოჟიკაშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1933 წ. ოქტემბრის 14.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 250 №-ში 1933 წ. ოქტემბრის 29.

---

327. დადგენილება ს.ძ.ს.

საქართველოს სსრ-ში 1933 წლის მოსავლის ახალზეთოვანი კულტურების დამზადების გეგმისა და მოწყობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. სექტემბრის 21-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ-ში 1933 წლის მოსავლის ახალზეთოვანი კულტურების დამზადების გეგმა დამტკიცებულ იქნეს შემდეგი რაოდენობით:

სოია	7.430 ტონა
არახისი	261 „

ამ გეგმის გარდა, სოიას სათესლე სესხის დაბრუნების გეგმა დამტკიცებულ იქნეს 460 ტონას რაოდენობით.

2. ახალზეთოვანი კულტურების დამზადებისა, საბჭოთა მეურნეობების მიერ ამ კულტურების ჩაბარებისა და ახალზეთოვანი კულტურების სათესლე სესხის დაბრუნების რესპუბლიკანური გეგმა დამზადებლებზე, რაიონებზე, კულტურებზე და მიღების ვადებზე დანაწილებულ იქნეს ამასთანავე დართული 1-ლი და მე-2 №-ის ცხრილების მიხედვით.

3. წინადადება მიეცეს აფხაზეთის და აჭარისტანის ავტ. სსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და ახალზეთოვანი კულტურების დამზადებელი რაიონების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—დაყონ მიწოდებული გეგმები სექტორებზე და უზრუნველყონ პროდუქციის ჩაბარების გეგმების ერთი დეკადის ვადაზე მიწვდენა იმ კოლექტიურ მეურნეობებამდე, რომელთაც მომსახურეობას სამანქანო-სატრაქტორო სადგურები უწევენ (სამანქანო-სატრაქტორო სადგურის დირექციის აუცილებელი მონაწილეობით), იმ კოლექტიურ მეურნეობებამდე, რომელთაც მომსახურეობას სამანქანო-სატრაქტორო სადგურები არ უწევენ, ერთპიროვნულ შრომითს მეურნეობებამდე და მტკიცე დავალებათა წესით—კულაკურ-შეძლებულ მეურნეობებამდე; თანაც ამ უკანასკნელთ უნდა მიეცეს შემოკლებული მაგარი ვადები პროდუქციის ჩაბარებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. დაწესებულ იქნეს ახალზეთოვანი კულტურების დამზადების გეგმის აღსრულების შემდეგი საბოლოო ვადები:

სოია . . . . . 1934 წ. იანვრის 1.

არახისი . . . . . 1934 წ. იანვრის 1.

5. ახალზეთოვანი კულტურების დამზადების გეგმის აღსრულების ძირითად მეთოდად ჩაითვალოს კოლექტიურ მეურნეობებთან და ერთპიროვნულ შრომითს მეურნეობებთან დადებულ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა რეალიზაცია.

იმ რაიონებში, სადაც დადებული საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებით მოცული არ არის ყველა ნათესი, „ზაგოტზერნოს“ საქართველოს კონტორამ, „საქმეთესლეობამ“ და „ცეკავშირმა“, დამზადებასთან ერთად, უნდა ჩაატარონ დამატებითი კონტრაქტაცია და ეცადნენ, რომ არადაკონტრაქტებული სოიას ნათესები ერთპიროვნულ საგლეხო მეურნეობებსა და კოლექტიურ მეურნეობებში სავსებით იქნეს მოცული კონტრაქტაციით.

6. დაევალოს „ზაგოტზერნოს“ სისტემას, „ცეკავშირს“ და „საქმეთესლეობას“ მოაწყონ სისტემატური მეთვალყურეობა საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა აღსრულებისათვის და აღნიშნონ ხოლმე ხელშეკრულებაზე ან ანგარიშსწორების საკონტრაქტაციო წიგნაკში ხელშეკრულების ნაწილობრივ ან მთლად აღსრულება; თანაც ყოველი თვის ბოლოს ყოველ ხელშეკრულებაში უნდა შეაჯამონ აღსრულება;

7. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და „საქტრაქტორცენტრმა“ უნდა უზრუნველყონ თავიანთი საპერიფერიო ორგანიზაციების საქმიანი მონაწილეობა მოსავლის აღებისა და გალეწვის უკეთესად მოწყობის საკითხების დამუშავებაში კოლექტიურ მეურნეობებსა და ერთპიროვნულ შრომითს მეურნეობებში; თანაც უნდა ეცადნენ, რომ თავიდან აცილებულ იქნეს უთანასწორობა და გარღვევა სოიას მოსავლის აღებასა, დაზვინებასა, გალეწვასა და ჩაბარებას შორის.

8. მთელი მუშაობა პროდუქციის ჩაბარების ორგანიზაციისათვის დაეკისროს იმ კოლექტიური მეურნეობების ხაზით, რომელთაც მომსახურეობას სამანქანო-სატრაქტორო სადგურები უწევენ,—„საქტრაქტორცენტრის“, ხოლო იმ კოლექტიური მეურნეობების ხაზით, რომელთაც მომსახურეობას სამანქანო-სატრაქტორო სადგურები არ უწევენ, და აგრეთვე ერთპიროვნული შრომითი მეურნეობების ხაზით—დამზადებელ ორგანიზაციებს („ზაგოტზერნო“, „ცეკავშირი“ და „საქმეთესლეობა“).

9. რაიონებში დამზადების მსვლელობისათვის ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობის გაწევა დაეკისროს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა იმ მოადგილეთ, რომელნიც გამოყოფილ არიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათათვის, და დაევალოს მათ—იხმარონ ყოველგვარი საჭირო ღონისძიება, რაც უზრუნველჰყოფს ახალზეთოვანი კულტურების დამზადების სარაიონო გეგმების აუცილებელ აღსრულებას დადგენილ ვადებზე.

ამ მიზნით წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა იმ მოადგილეთ, რომელნიც გამოყოფილ არიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათათვის, გამოყონ, არა უგვიანეს 1933 წ. ოქტომბრის 10-ისა, თვითეულ სასოფლო საბჭოსა და კოლექტიურ მეურნეობაში ახალზეთოვანი კულტურების ჩაბარების გეგმების აღსრულებისათვის პერსონალურად პასუხისმგებელი პირნი.

წინადადება მიეცეს „ზაგოტზერნოს“ სარაიონო რწმუნებულებს, სარაიონო სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირებს და „საქმეთესლეობას“—წარუდგინონ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა იმ მოადგილეთ, რომელნიც გამოყოფილ არიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათათვის, თვითეულ ხუთდღიურზე ჯუმლები დამზადების მსვლელობის შესახებ სასოფლო საბჭოებისა და სექტორების ხაზით.

წინადადება მიეცეს დამმზადებელ ორგანიზაციებს—შეუფარდონ არაპირიან ჩამბარებლებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან შეთანხმებით, საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული გადახდევინების ღონისძიებანი.

10. სოიას სადამზადებლო ფასი დატოვებულ იქნეს 1932 წელს მომქმედი სადამზადებლო ფასის დონეზე, ე. ი. 15 მან. და 25 კაპ. ცენტნერზე ფრანკო-სადგურისპირული პუნქტი.

მიღმეულ პუნქტებში სოიას ჩაბარების დროს ჩამბარებელს ეძლევა სადამზადებლო ფასი სადგურისპირული ფასის ანგარიშით, რასაც უნდა გამოაკლდეს ჭაპანზიდვის ღირებულება, დატვირთვა-გადმოტვირთვის თანჩართვით, საშუალოდ 6 კაპიკამდე ცენტნერ-კილომეტრზე, ხოლო არა უმეტეს 2 მან. და 70 კაპიკისა ერთობილად ცენტნერზე.

11. დაევალოს „ზაგოტზერნოს“ სისტემას, „ცეკავშირს“ და „საქმეთესლეობას“—ახალზეთოვანი კულტურების მიღება აწარმოონ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის მიერ 1933 წ. ივლისის 14-ის თარიღით და 1015 №-ით დამტკიცებული ხარისხობითი მიღების წესების საფუძველზე.

12. წინადადება მიეცეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში შეიმუშაოს და 3 დღის ვადაზე წარმოუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ახალზეთოვანი კულტურების ჩაბარების სადგურისპირული და მიღმეული პუნქტების ქსელი.

13. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და სასოფლო საბჭოებს, დამმზადებელ ორგანიზაციებთან ერთად, მიამაგრონ, არა უგვიანეს 1933 წლის ოქტომბრის 10-ისა, სოიას ჩამბარებლები სათანადო დამმზადებელ პუნქტებს და თვალყური ადევნონ, რათა ჩამბარებლები აბარებდნენ სოიას სწორედ იმ პუნქტებს, რომლებზედაც ისინი მიმაგრებულ არიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. მიმაგრებულ ჩამბარებელთა სია გადაეცემა სათანადო მზადებელ პუნქტებს.

14. სოიას მიღება ძირითადად უნდა სწარმოებდეს სადგურისპირულ პუნქტებზე.

15. კულაკურ-შეძლებული მეურნეობანი აბარებენ, მანძილის მიუხედავად, „ზაგოტზერნოს", „ცეკავშირს" ან „საქმეთესლეობის" სადგურისპირულ პუნქტებს, იმ დანიშნულების თანახმად, რაც განსაზღვრულ იქნება მტკიცე დავალებათა შესახები შეტყობინების ჩაბარების დროს.

შენიშვნა. კულაკულ-შეძლებულ მეურნეობათა სია გადაეცემა სათანადო პუნქტებს.

16. კოლექტიური და ერთპიროვნული შრომითი მეურნეობანი აბარებენ სოიას უშუალოდ „ზაგოტზერნოს" ან „ცეკავშირის" სადგურისპირულ პუნქტებს, უკეთუ ისინი იმყოფებიან 20 კილომეტრის რადიუსში სადგურისპირული პუნქტიდან.

საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა კოლექტიური და ერთპიროვნული შრომითი მეურნეობების მიერ მიღმეული პუნქტებიდან სადგურისპირულ პუნქტებზე სოიას გადაზიდვისათვის 20 კილომეტრის მეტ მანძილზე დაწესდეს, გარდა ჩაბარებული პროდუქციის სადგურისპირული ფასის გადახდისა, აგრეთვე ჭაპანზიდვის ღირებულების მიცემა თვითეული ზედმეტი კილომეტრისათვის 30 კაპ. რაოდენობით ცენტნერზე.

წინადადება მიეცეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწუნებულს საქართველოს სსრ-ში შეუთანხმოს სასწრაფო წესით აღნიშნული გადაზიდვის ტარიფები სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტს.

17. წინადადება მიეცეს „ზაგოტზერნოს" საქართველოს კონტორას—უზრუნველყოს პურეული პროდუქტების შეზიდვა ახალზეთოვანი კულტურების დამზადების რაიონებში დადგენილი წესით გამოყოფილი ფონდების შესაბამისად.

18. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ სასაქონლო ფონდებისა და ვაჭრობის მომწესრიგებელ კომისიას და საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს—უზრუნველყონ შაქრისა, მცენარეული ზეთისა, კოპტონისა და სამრეწველო საქონლის შეზიდვა ახალზეთოვანი კულტურების დამზადების რაიონებში გამოყოფილი კონტიგენტების ფარგლებისა და დამტკიცებული ასორტიმენტის კვალობაზე.

19. წინადადება მიეცეს „ზაგოტზერნოს" საქართველოს კონტორას და „ცეკავშირს"—დაამთავრონ, არა უგვიანეს 1933 წ. ოქტომბრის 10-ისა, მიმღები პუნქტების ინვენტარით, ტარათი, სალაბორატორიო საგნებით და სხვა მისთ. დაკომპლექტება—ისე, რომ ეს პუნქტები მზად იყვნენ ახალზეთოვანი კულტურების დაუცადებელი მიღებისათვის ზემოთ დადგენილ ვადებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაევალოს „ზაგოტზერნოს“ საქართველოს კონტორას, „ცეკავშირს“, „საქმეთესლეობას“ და „საქტრაქტორცენტრს“—უზრუნველყონ მაქსიმალური ზრდა-ზიდვა უტარაოდ.

20. წინადადება მიეცეს სახელმწიფო ბანკის საქართველოს კონტორას—უზრუნველყოს თავისი ფილიალები ფულის ნიშნებით დამმზადებელი ორგანიზაციების დაუცადებელი დაფინანსებისათვის ახალზეთოვანი კულტურების დამზადების ოპერაციების ხაზით.

21. სოიას ჩაბარების (მიყიდვის) ვალდებულებათა აღსრულებამდე აიკრძალოს სხვადასხვა ფონდების (სათესლე, სადაზღვეო და სხვ.) დაგროვება, სოიას გაყიდვა საკოლმეურნეო ბაზრებზე და გადამუშავება ზეთსახდელ ქარხნებსა და წისქვილებში.

დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და კოლექტიურ მეურნეობათა გამგეობებს—უზრუნველყონ, საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებით ვალდებულებათა აღსრულების შემდეგ, სათესლე ფონდების სრულად დაგროვება.

22. წინადადება მიეცეს „ზაგოტზერნოს“ საქართველოს კონტორას და „საქმეთესლეობას“—დაამყარონ დამზადებათა მსვლელობის ხუთდღიური ანგარიშგება (რაიონებისა და სექტორების მიხედვით) სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულის (საქართველოს სსრ-ში) წინაშე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. ა. ჟოჟიკაშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მაგიერ კ. ლუნკევიჩი.

1933 წ. ოქტომბრის 3.

ტფილისი.

ᲓᲐᲜᲐᲠᲗᲘᲡᲘ

1933 წლის სოციალ რესპუბლიკანური დამზადების და ჩაბარების გეგმა საქართველოში, საქ. სსრ დამმზადებელ რაიონებისათვის.

(ტონობით)

	დამზადების გეგმა				ჩაბარების ვადები		
	სასაქონლო	სათესლე	სათესლე სესხი.	ს ულ:	ოქტომბერში	ნოემბერში	დეკემბერში
ზაგოტზერნოს ხაზით.							
1. ქუთაისის რაიონი	430	—	4	434	21	217	196
2. სამტრედიის	430	—	36,8	466,8	23	233	210,8
3. ხ ო ნ ი ს	350	—	25,6	375,6	14	187	174,6
4. ვ ა ნ ი ს	286	—	21,7	307,7	15	154	138,7
5. ბაღდადის	205	—	21,7	226,7	11	113	102,7
6. ზესტაფონის	340	—	7,3	347,3	17	174	156,3
7. ჩ ხ ა რ ი ს	535	—	17,3	552,3	27	276	249,3
8. ჭიათურის	330	—	35	365	19	183	163
9. ხორაგოულის	231	—	13	244	12	122	110
10. ტყიბულის	110	—	18	128	6	64	58
11. ა ბ ა შ ი ს	570	—	9,8	579,8	28	289	262,8
12. სენაკის	530	—	40,7	570,7	28	285	257,7
13. მარტვილის	355	—	25	380	19	190	171
14. ხ ო ბ ი ს	422	—	24	446	22	223	201
15. წალენჯიხის	322	—	20,7	342,7	17	171	154,7
16. ჩხოროწყუს	140	—	16	156	7	78	71
17. ოზურგეთის	270	—	30,6	300,6	15	150	135,6
18. ლანჩხუთის	328	—	11,8	339,8	17	169	153,8
19. ჩოხატაურის	160	—	25,4	185,4	9	92	84,4
20. აჭარისტანის ასსრ	156	—	16,6	172,6	8	85	79,5
ხულ ზაგოტზერნოს ხაზით	**6500**	—	**21**	**6921**	**335**	**3455**	**3131**
საქ. მეთესლეობის კავშირის ხაზით:							
1. ქუთაისის რაიონი	—	160,6	4	164,6	8	82	74,6
2. სენაკის	—	191,7	20	211,7	10	106	95,7
3. აბაშის	—	192,5	—	192,5	9	96	87,5
4. ზუგდიდის	—	272,2	15	287,2	15	141	128,2
ხულ საქ. მეთესლეობ. კავშ. ხაზით	—	**817**	**39**	**856**	**45**	**425**	**386**
ზაკსორტსემტრესტის ხაბჭოთა მეურნეობებში.							
1. ქუთაისის რაიონი	—	62,8	—	62,8	3	30	29,5
2. ოზურგეთის	—	50,2	—	50,2	2	25	23,2
ხულ ზაკსორტსემტრესტის ხაზით	—	**113**	—	**113**	**5**	**55**	**53**
ს უ ლ საქართველოს სსრ	**6500**	**930**	**460**	**7890**	**385**	**3935**	**3570**

ცხრილი № 2.

1933 წლის მოსავლის არახლის რესპუბლიკანური დამზადების და ჩაბარების გეგმა საქართველოში ვადები ჩაბარებისა.

(ტონობით)

	გეგმა დამზადების	ვადა ჩაბარების	
		ნოემბერი.	დეკემბერი.
გრუზსემენოვოდის ხაზით			
ქუთაისის რაიონი	38	19	19
სენაკის	47,5	23,5	24
აბაშის	63,5	31,5	32
ზუგდიდის	23	11,5	11,5
აფხაზეთის ასსრ	11	5,5	5,5
სულ გრუზსემენოვოდის ხაზით:	**183**	**91**	**92**
სოვხოზი ზაკსორტსემტრესტი			
ქუთაისის რაიონი	29,5	14,5	15
აფხაზეთის ასსრ	48,5	24	24,5
სულ ზაკსორტსემტრესტის ხაზით:	**78**	**38,5**	**39,5**
სულ საქართველოს სსსრ	**261**	**129,5**	**131,5**

328. დადგენილება ს.კ.ს.

ბამბის ადგილობრივ ჩარჩენის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აიკრძალოს:

ა) კერძო პირებისა და ორგანიზაციების მიერ ნედლი ბამბის და ბოჭკოს და აგრეთვე სხვადასხვა ნაკეთობის სახით ბამბის გამოზიდვა რკინის გზით, წყალსავალი გზით და ჭაპანზიდვის გზით, აგრეთვე ფოსტით გადაგზავნა;

ბ) ნედლი ბამბის და ბოჭკოს გადამუშავება კერძო ჯინებზე, ჩიგირიკებზე და ყოველგვარი სხვა სახით;

გ) ბაზარზე ბამბის ყოველგვარი შინამრეწველური ნაკეთობის გაყიდვა;

დ) ნედლი ბამბის და ბოჭკოს ყიდვა-გაყიდვა კერძო პირებისა და ორგანიზაციების მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ამა დადგენილების დარღვევა გამოიწვევს სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის კოდექსის 111 მუხ. თანახმად.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. ა. ჟოჟიკაშვილი.

საქ. სსრ ს.კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. გ. თათეიშვილი.

1933 წ. ოქტომბრის 4.
ტფილისი.
გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 231 №-ში 1933 წ. ოქტომბრის 6.

---

329. დადგენილება ს.ჟ.ს.

კოლექტიური მეურნეობებისა და ერთპიროვნული შრომითი საგლეხო მეურნეობების მიერ შემსყიდველ პუნქტებამდე ხილბოსტნეული ტვირთის 15 კილომეტრიანი რადიუსის მეტ მანძილზე გადაზიდვისათვის სასყიდლის გადახდის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს, რომ კოლექტიური მეურნეობებისა და ერთპიროვნული შრომითი საგლეხო მეურნეობის მიერ შემსყიდველ პუნქტებზე ხილბოსტნეული ტვირთის გადაზიდვისათვის ისეთ მანძილზე, რაც აღემატება 15 კილომეტრიან რადიუსს, დამმზადებელი ორგანიზაციები იხდიან სასყიდელს 50 კაპ. რაოდენობით ტონა-კილომეტრზე.

2. აღნიშნული გადაზიდვისათვის დამმზადებელი ორგანიზაციები უსწორდებიან ხსენებულ მეურნეობებს ჩაბარებულ ხილბოსტნეულზე ანგარიშის გასწორებასთან ერთად.

3. წინადადება მიეცეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში მიაწვდინოს ეს დადგენილება დამმზადებელ რაიონებამდე და თვალყური ადევნოს მის განხორციელებას.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. ა. ჟოჟიკაშვილი.

საქ. სსრ ს.კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. გ. თათეიშვილი.

1933 წ. ოქტომბრის 1.
ტფილისი.

---

330. დადგენილება ს.კ.ს. და ს.კ.პ. (ბ) ც.კ.

სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარების კანონის განმარტებ-ლების შესახებ.

„1934 წელს სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარების შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1933 წ. აგვისტოს 28-ის დადგენილებისა (სსრკ კან. კრ. 1933 წ. 55 №-ი, მუხ. 323) და ამ კანონის განსავითარებლად გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1933 წ. სექტემბრის 11-ის დადგენილების („ზარია ვოსტოკას“ 236 №-ი 1933 წ. სექტემბრის 12-ისა) შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაწესებულ იქნეს 1934 წელს (იანვრის 1-დან დეკემბრის 1-მდე) საქართველოს სსრ რაიონებისათვის და აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქისათვის შემდეგი, მტკიცე—საქართველოს სსრ რაიონების ხაზით, და საშუალო—ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ხაზით ნორმები სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო, გადასახადის ძალის მქონე, ჩაბარებისა, არსებული სახელმწიფო ფასების მიხედვით, ცალკე საკოლმეურნეო კომლებზე იმ კოლექტიურ მეურნეობებში, რომელთაც არა აქვთ მეცხოველეობის სასაქონლო ფერმები, ცალკე საკოლმეურნეო კომლებზე იმ კოლექტიურ მეურნეობებში, რომელთაც აქვთ მეცხოველეობის სასაქონლო ფერმები, და ცალკე ერთპიროვნულ საგლეხო მეურნეობებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონების დასახელება	საკოლმეურნეო კომ-ლებისათვის იმ კოლექტიურ მეურნეობებში, რომელთაც არა აქვთ მეცხოველეობის სასაქონლო ფერმები.	საკოლმეურნეო კომ-ლებისათვის იმ კოლექტიურ მეურნეობებში, რომელთაც აქვთ მეცხოველეობის სასაქონლო ფერმები.	ერთპიროვნული სა-გლეურნ მეურნეობ-ებისათვის.
I ჯგუფი:			
ახალქალაქის რაიონი			
ყარაიას „			
ბოგდანოვკის „			
წალკის „	28	17	45
ასპინძის „			
აღბულახ-მანგლისის			
ბაშკიჩეთის „			
ლუქსემბურგის „			
ახალციხის „			
ბორჩალოს „			
ხევის „			
ადიგენის „			
II ჯგუფი:			
სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი			
ბორჯომის რაიონი			
დუშეთის „	23	13	36
ერწო-თიანეთის „			
ტფილისის „			
წალენჯიხის „			
სიღნაღის „			
III ჯგუფი:			
აფხაზეთის ავტ. სსრ			
აჭარისტანის ავტ. სსრ			
ჩხოროწყუს რაიონი			
ზუგდიდის „			
თელავის „	21	11	33
ხობის „			
გარე-კახეთის „			
ლაგოდეხის „			

რაიონების დასახელება.	საკოლმეურნეო კომ-ლებისათვის იმ კოლექტიურ მეურნეობებში, რომელთაც არა აქვთ მეცხოველეობის სასაქონლო ფერმები.	საკოლმეურნეო კომ-ლებისათვის იმ კოლექტიურ მეურნეობებში, რომელთაც აქვთ მეცხოველეობის სასაქონლო ფერმები.	[illegible] საკოლმეურნეობებისათვის.
IV ჯგუფი:			
ყვარლის რაიონი			
ხორაგოულის „			
ცაგერის „			
ამბროლაურის „			
გ ო რ ი ს „			
სტალინისის „			
სამტრედიის „			
მარტვილის „	18	9	28
ლანჩხუთის „			
სენაკის „			
აბაშის „			
ჭიათურის „			
ხ ო ნ ი ს „			
ჩოლურის „			
V ჯგუფი:			
კ ა ს პ ი ს რაიონი			
ქუთაისის „			
ოზურგეთის „			
ბალდადის „			
ოკრიბის „			
ჩოხატაურის „	16	8	25
გურჯაანის „			
ო ნ ი ს „			
ზესტაფონის „			
ვ ა ნ ი ს „			
ჩხარის „			
ფოთის „			

2. დაწესებულ იქნეს შემდეგი საკალენდრო ვადები ერთპიროვნული მეურნეობების და საკოლმეურნეო კომლების მიერ სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარებისათვის რესპუბლიკებში და ოლქებში წლიური გეგმის პროცენტობით:

1-ლ კვარტალში	მე-II კვარტალში	მე-III- კვარტალში	მე-IV კვარტალში
35%	10%	20%	35%

3. კოლექტიური მეურნეობების მეცხოველეობის სასაქონლო ფერმებზე და განსაზოგადოებულ ნახირზე დაწესებულ იქნეს სახელმწიფოსათვის ხორცის საავალდებულო, გადასახადის ძალის მქონე, ჩაბარების შემდეგი ნორმები ცოცხლადი წონით კილოგრამობით: მსხვილფეხა რქოსან საქონელზე—20 კილოგრ. თვითეულ ძროხასა და უშობელზე, ცხვარზე—8 კილოგრ. თვითეულ დედა-ცხვარზე და სადედო ბატკანზე, ღორზე—80 კილოგრ. თვითეულ დედა-ღორზე.

ჩასაბარებელი ხორცის რაოდენობა განისაზღვრება 1933 წლის სექტემბრის 1-თვის არსებული ოთხფეხი საქონლის მიხედვით. საკოლმეურნეო ფერმაში ჩასაბარებელი ხორცეული პროდუქციის გამოანგარიშების დროს სათვალავში არ მიიღება საჯიშე საქონელი, რაც შეტანილია საჯიშე დავთარში (ჩანაწერი).

4. დაწესებულ იქნეს შემდეგი საკალენდრო ვადები თვითეული კოლექტიური მეურნეობის მიერ სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების წლიური ვალდებულების შესრულებისათვის (წლიური ნორმის პროცენტობით):

	1-ლ კვარტალში	მე-II კვარტ.	მ-III კვარტ.	მე-IV კვარტ.
მხვილფეხა რქოსანი საქონელი	35%	10%	25%	30%
ღორი	30%	15%	20%	35%
ცხვარი	25%	—	35%	40%

5. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა, აჭარისტანის სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს დააწესონ, 1-ლ და მე 3 მუხლებში გათვალისწინებული ნორმების მიხედვით, ხორცის ჩაბარების სხვადასხვა (დიფერენცირებული) ნორმები ცალკეული რაიონებისათვის და უზრუნველყონ წლიური გეგმის უცილობელი აღსრულება რესპუბლიკებსა და ოლქში; თანაც გამოაქვეყნონ დადგენილი ნორმები არა უგვიანეს 1933 წ. ოქტომბრის 20-ისა.

6. კატეგორიულად აეკრძალოთ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების რაიონობითი ნორმების შეცვლა, რაც დაწესებულია საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებისა, კოლექტიური მეურნეობების განსაზოგადოებული ნახირისა, საკოლმეურნეო კომლებისა და ერთპიროვნული მეურნეობებისათვის.

7. დაწესებულ იქნეს, რომ საკოლმეურნეო კომლებს და ერთპიროვულ მეურნეობებს შეუძლიათ შეასრულონ თავიანთი ვალდებულებანი სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარებისა ყოველგვარი სახის ოთხფეხი საქონლის და ფრინველის

ჩაბარებით, ხოლო აუცილებლად ცოცხალისა; ამასთანავე, ჩამბარებლებს შეუძ-
ლიათ ხორცის ჩაბარების ვალდებულების ერთად შესრულებისათვის ერთად
გაერთიანდენ.

კოლექტიურ მეურნეობებს შეუძლიათ შეასრულონ თავიანთი ვალდებულე-
ბანი ყოველგვარი სახის ოთხფეხი საქონლის ჩაბარებით, ხოლო ღორი ჩაბარე-
ბულ უნდა იქნეს დადგენილი ნორმების მიხედვით სხვა საქონელზე შეუცვლელად.

8. იმ კოლექტიურ მეურნეობას, საკოლმეურნეო კომლს და ერთპიროვნულ
მეურნეობას, რომელიც არ შეასრულებს დადგენილ ვადაზე თავის ვალდებულე-
ბას სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარებისას, დაედება ფულადი ჯარიმა ვალ-
დებულების შეუსრულებელი ნაწილის ღირებულების რაოდენობით საბაზრო ფა-
სის კვალობაზე და თანაც ჩამოერთმევა უდავო წესით ჩასაბარებელი ოთხფეხი
საქონელი.

9. კოლექტიური მეურნეობების განსაზოგადოებულ ნახირში და საკოლმეურ-
ნეო სასაქონლო ფერმებში ოთხფეხი საქონლის ნამდვილი რაოდენობის გადა-
მალვისათვის პასუხისგებაში მიცემულ უნდა იქნენ სისხლის სამართლის წესით,
საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 63 მუხ. თანახმად, კოლექტიურ
მეურნეობათა გამგეობების თავმჯდომარენი და მეცხოველეობის საკოლმეურნეო
სასაქონლო ფერმების გამგენი.

10. ამა დადგენილების პრაქტიკული განხორციელება დაეკისროს საქართ-
ველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს და მის სარაიონო ორგანოებს.

11. იმ კოლექტიურ მეურნეობას, საკოლმეურნეო კომლს და ერთპიროვ-
ნულ მეურნეობას, რომელმაც სავსებით შეასრულა თავისი ვალდებულება სა-
ხელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარებისა სსრ კავშირის სახალხო კომისართა სა-
ბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომი-
ტეტის 1932 წლის სექტემბრის 23-ის დადგენილებაში განსაზღვრულ ვალდე-
ბულებათა მიხედვით 1932 წლის ოქტომბრის 1-დან 1934 წლის იანვრის 1-მდე
განვლილ პერიოდში, უფლება მიეცეს შეასრულოს ამა დადგენილებით დაწესე-
ბული ვალდებულებანი ხორცის ვადამდე ჩაბარებით, დაწყებული 1933 წ. ოქ-
ტომბრის 1-დან, 1934 წლის წლიურ ვალდებულებათა ანგარიშში.

12. კატეგორიულად აეკრძალოს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს
და აგრეთვე დამმზადებელ ორგანიზაციებს—საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებ-
სა, კოლექტიური მეურნეობების განსაზოგადოებულ ნახირსა, კოლმეურნეებზე
და ერთპიროვნულ მეურნეებზე სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების ვალდე-
ბულების იმაზე გადიდებული რაოდენობით დაკისრება, რაც აღემატება ამა დად-
გენილების შესაბამისად გამოქვეყნებულ ნორმებს.

აგრეთვე აიკრძალოს ხორცის ჩაბარების დამატებითი ან შემხვედრი გეგ-
მების მიცემა იმ მეურნეობებისათვის, რომელთაც ვადამდე შეასრულეს თავიან-
თი ვალდებულებანი, და სრული შესაძლებლობა მიეცეს პირიან ჩამბარებლებს
თავისუფლად და თავის სურვილზე მოიხმარონ თავიანთი ზედმეტი პროდუქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაფრთხილებულ იქნეს ყველა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციანი, რომ შემხვედრი გეგმების მიცემაში დამნაშავე პირნი პასუხს აგებენ სისხლის სამართლის წესით.

საქ. სსრ. ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი**

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი **ლ. ბერია.**

1933 წ. ოქტომბრის 15

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 242 №-ში 1933 წ. ოქტომბრის 20.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

331. დადგენილება ც. ა. კ. და ს.კ.ს.

„საქართველოს სსრ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის თაობაზე" გამოცემული დადგენილებისათვის 28[1] მუხლის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. სექტემბრის 2-ის დადგენილებას „საქართველოს სსრ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. №-19 №-ი, მუხ. 202) დაემატოს 28[1] მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„28[1] საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობათა სახლებში მცხოვრები პირნი, რომელნიც ამ ამხანაგობათა წევრნი არ არიან, ბინის ქირას იხდიან მათი ხვედრი განაკვეთის თანხაზე 15% დარიცხვით".

II

დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1933 წ. ივნისის 1-დან.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ა. ჟოჟიკაშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1933 წ. ოქტომბრის 14.

ტფილისი

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 249 №-ში 1933 წ. ოქტომბრის 28.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ რ ო მ ა

332. დადგენილება. ს.ა.კ., ს.კ.ს. და პ.კ.ს.

საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატის და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს გაერთიანებისა და ამ გაერთიანების წესის შესახებ.

„სსრ კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის და პროფესიონალურ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს გაერთიანების შესახებ „გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, სახალხო კომისართა საბჭოს და პროფესიონალურ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1933 წ. ივნისის 23-ის დადგენილებისა (სსრკ კან. კრ. 1933 წ. მე-40 №-ი, მუხ. 238) და ამ აქტის განსავითარებლად გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და პროფესიონალურ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1933 წ. სექტემბრის 10-ის თარიღის და 1952 №-ის დადგენილებისა („სსრკ ცენ. აღმ. კ-ტის იზვესტიას“ 1933 წ. 225 №-ი) და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და პროფესიონალურ კავშირთა ამიერკავკასიის საბჭოს 1933 წ. სექტემბრის 19-ის დადგენილების („ზარია ვოსტოკას“ 1933 წ. 221 №-ი) შესაბამისად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭო ადგენენ:

1. გაუქმებულ იქნეს 1933 წ. ოქტომბრის 1-დან საქართველოს სსრ შრომის სასალხო კომისარიატი და მისი ადგილობრივი ორგანოები.

2. გადაეცეს პროფესიონალურ კავშირთა ორგანოებს საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატის და მისი ადგილობრივი ორგანოების და აგრეთვე სოციალური დაზღვევის რესპუბლიკანური და ადგილობრივი ორგანოების ქონება, სახსარი და კადრები—სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და პროფესიონალურ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1933 წ. სექტემბრის 10-ის თარიღისა და 1932 წ. დადგენილებით გათვალისწინებული წესისამებრ.

3. სოციალური დაზღვევის საქმისათვის პრაქტიკული ხელმძღვანელობის გაწევა დაეკისროს საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ გამგეობებს, მათთან სოციალური დაზღვევის სადარგო სალაროების მოწყობით, ხოლო საწარმოებთან და დაწესებულებებთან—საფაბრიკო, საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების ფულის გამცემი პუნქტების მოწყობით სოციალური დაზღვევის ხაზით.

სოციალური დაზღვევის სადარგო სალაროების გამგებლობა დაეკისროს პროფესიონალურ კავშირთა სათანადო ცენტრალური გამგეობების თავმჯდომარეთ.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სოციალური დაზღვევის საქმისათვის ერთიანი ხელმძღვანელობის გაწევა და ამ დარგში პროფესიონალურ კავშირთა შეთანხმებულ შეაბისათვის კონტროლის წარმოება, აგრეთვე საქართველოს სსრ სოციალური დაზღვევის ჯუმლობითი ბიუჯეტის შედგენა დაეკისროს საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სოციალური დაზღვევის საქმისათვის უშუალო ხელმძღვანელობის გაწევა დაეკისროს საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს თავმჯდომარეს.

4. წინადადება მიეცეს სოციალური დაზღვევის გადასახადის გადამხდელთ შეიტანონ, დაწყებული 1933 წ. ოქტომბრის 1-დან, აღნიშნული გადასახადი საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა გამგეობების ანგარიშებზე სახელმწიფო ბანკის საქართველოს კონტორაში და მის ადგილობრივ ფილიალებში.

შეეინარჩუნოს პროფესიონალურ კავშირთა ორგანოებს ყველა ის უფლება, შეღავათი და უპირატესობა, რაც დადგენილია საქართველოს სსრ კანონმდებლობით სოციალური დაზღვევის ორგანოებისათვის.

6. რეორგანიზებულ იქნეს შრომის ყველა სარაიონო ინსპექცია (იურიდიული, ტექნიკური, სანიტარული) საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ გამგეობებთან არსებულ შრომის სადარგო ინსპექციად—პროფესიონალურ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს დირექტივების შესაბამისად.

შენიშვნა. შრომის ინსპექციებს ენარჩუნებათ შრომის კანონთა დარღვევისათვის ჯარიმის დადების უფლება.

7. შრომის ინსპექციებისათვის საერთო ხელმძღვანელობის გაწევა, აგრეთვე სათანადო კოლექტიური ხელშეკრულებების რეგისტრაცია დაეკისროს საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს და პროფესიონალურ კავშირთა ადგილობრივ საბჭოებს და მიეცეს ამ ორგანოებს უფლება გააუქმონ ის ხელშეკრულებები, რაც კანონს ეწინააღმდეგება.

8. დაეკისროს საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს მოვალეობა წარუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასკვნები შრომის რესპუბლიკანური გეგმების შესახებ (მომუშავეთა რიცხვი, სამუშაო ხელფასის ფონდი, შრომის ნაყოფიერება), რასაც შეიტანს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია.

9. მოწყობილ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან მუდმივი კომისია მუშა-ძალის მოგროვების მოწესრიგებისათვის; ამ კომისიას დაეკისროს შემდეგი ფუნქციები:

ა) გამოარკვიოს ცალკეული რაიონებისა, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის შრომის რესურსები საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის ცნობების საფუძველზე:

ბ) შეადგინოს მუშა-ძალის გადაგზავნ-გადმოგზავნის ოპერატიული გეგმები;

გ) აღრიცხოს და შეამოწმოს სამეურნეო ორგანოების განაცხადები მუშა-ძალაზე დამტკიცებული სახალხო სამეურნეო გეგმის შესაბამისად;

დ) გამოყოს სამეურნეო ორგანოებისათვის განსაზღვრული რაიონები მუშა-ძალის მოგროვებისათვის;

ე) თვალყური ადევნოს მთავრობის დირექტივების აღსრულებას მუშა-ძალის ორგანიზებულად მოგროვების საკითხების გამო;

ვ) ხელმძღვანელობა გაუწიოს ადგილობრივ ორგანოების მუშაობას მუშა-ძალის ორგანიზებულად მოგროვების მოწესრიგების სფეროში.

მუშა-ძალის მოგროვების მომწესრიგებელი კომისია მოქმედობს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დანიშნული პირის თავჯდომარეობით და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიისა, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს და საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მუდმივ პასუხისმგებელ წარმომადგენელთა შედგენილობით.

მიენდოს მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატებს—განსაზღვრონ ხუთი დღის ვადაზე ზემოაღნიშნული კომისიის სტრუქტურა და შტატები, აგრეთვე შეიმუშაონ ხარჯთ-აღრიცხვა ამ კომისიის 1933 წელს შესანახად და გამონახონ მისი 1933 წელს დაფინანსების წყაროები.

10. საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური გამგეობებისა და მათი ადგილობრივი ორგანოების 1933 წლის ხარჯები მიეკუთვნოს საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატისა, საქართველოს სსრ სოციალური დაზღვევის კომიტეტისა და მათი ორგანოების ხარჯთ-აღრიცხვებით გადადებულ სახსარს.

11. მიენდოს საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს—წარუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ორი თვის ვადაზე პროექტი დადგენილებისა საქართველოს სსრ კანონმდებლობაში ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებათა შეტანის შესახებ.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე—ფ. **მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ა. ყოჟიკაშვილი**

საქ პ. კ. ს-ოს თავმჯდომარე **მ. ნიორაძე.**

1933 წ. ოქტომბრის 1.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

333. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„ნატურალური წყალსამეურნეო ბეგარის თაობაზე“ გამოცემული 1931 წ. აპრილის 19-ის დადგენილების შესავალი ნაწილის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„ნატურალური წყალსამეურნეო ბეგარის შესახებ“ გამოცემული 1931 წ. აპრილის 19-ის დადგენილების შესავალი ნაწილიდან (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-10 №-ი, მუხ. 116) ამოიშალოს დაწყებითი სიტყვები ვიდრე „და 419“-მდე—თანჩართვით.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1933 წ. ოქტომბრის 27.

ტფილისი.

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

334. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის აპარატის რეორგანიზაციის შესახებ.

საქართველოს სსრ-ში სასკოლო მშენებლობის უდიდესი ზრდა (4.400-ზე მეტი დაწყებითი და საშუალო სკოლა და ნახევარი მილიონი მოსწავლე) გადაჭრით მოითხოვს განათლების სახალხო კომისარიატისაგან კონკრეტული ოპერატიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას, ხოლო უკანასკნელ დრომდე საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის მუშაობა საკმაოდ როდი უზრუნველყოფდა სკოლებს უშუალო ხელმძღვანელობით და მასწავლებლებს სისტემატური მეთოდური დახმარებით მათ მუდამდღიურ სასწავლო საგანმანათლებლო მუშაობაში. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის სტრუქტურა არ შეესაბამება პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა საფუძველზე სკოლის გარდაქმნის ამოცანებს, ფუნქციების ცალკეულ სექტორებზე დაქსაქსულობისა და მუშაობის ცალკეული დარგების ხაზით ერთპიროვნული ხელმძღვანელობის უქონლობის გამო. მუშაობის ისეთი უაღრესი მნიშვნელობის დარგი, როგორიც სტაბილური სასწავლო წიგნების შექმნაა, საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის აპარატში უზრუნველყოფილი არ იყო სათანადო რგოლეულით, და ამ მუშაობას ასრულებდენ თავიანთი ხასიათით „უნივერსალური“ და „ყოვლისგარშემცველი“ ორგანოები (სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო).

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის აპარატის სტრუქტურის და ადგილობრივი ორგანოების შეუსაბამობამ წარმოშვა სკოლის ძირითადი ნაკლოვანებანი, რაც აღნიშნულია სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებში და მთავრობის დადგენილებებში პროგრამებისა, სკოლის რეჟიმისა და მოსწავლეთა შესახებ.

ამის გამო სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საჭიროდ მიაჩნიათ, რათა მოხდეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის აპარატის რეორგანიზაცია იმ თვალსაზრისით, რომ ყურადღების ცენტრში მოქცეულ იყოს სკოლისათვის ოპერატიული მაღალხარისხოვანი ხელმძღვანელობის გაწევისა და მასწავლებლისათვის მის მუდამდღიურ მუშაობაში კონკრეტული მეთოდური დახმარების აღმოჩენის ამოცანები, აგრეთვე პედაგოგიკური კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმე.

ამისდამიხედვით სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

მოხდეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის რეორგანიზაცია შემდეგ საფუძვლებზე:

I. გაუქმებულ იქნეს:

ა) სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო;

ბ) სასწავლო-სამეთოდო სექტორი;

გ) ხელოვნებათა სექტორი;

დ) კადრების მომზადების სექტორი;

ე) მასური პოლიტგანათლების სექტორი.

II. მოეწყოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის შედგენილობაში შემდეგი სამმართველოები და განყოფილებები:

ა. სამმართველოები:

1. დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველო, რომელიც განაგებს პროგრამების და სასწავლო წიგნების შემუშავებისა, სწავლების მეთოდების დამყარებისა, სკოლების ინსტრუქტირებისა, სასკოლო მეურნეობისა და პედაგოგიკური პერსონალის შერჩევის საქმეს და ანხორციელებს სკოლების ხელმძღვანელობას; ამ სამმართველოს შედგენილობაში შედის:

ა) პედაგოგიკური პერსონალის შერჩევისა და განაწილების სექტორი;

ბ) პროგრამებისა, სასწავლო წიგნებისა და სწავლების მეთოდების სექტორი—სასწავლო წიგნებისა, სკოლის გარეშე მუშაობისა და სანიმუშო სკოლების ჯგუფებით;

გ) სატრანსპორტო სკოლების სექტორი;

დ) სკოლის საორგანიზაციო-სამეურნეო საკითხების სექტორი.

2. მასწავლებელთა მომზადების სამმართველო—შემდეგი შედგენილობით:

ა) უმაღლესი პედაგოგიკური სასწავლებლებისა, მუშათა ფაკულტეტებისა და პედაგოგიკური ტექნიკუმების სექტორი;

ბ) სამხატვრო და სამუსიკო განათლების სექტორი;

გ) დაუსწრებელი განათლებისა და მასწავლებლობის კვალიფიკაციის ამაღლების სექტორი.

3. სამეცნიერო და სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებათა სამმართველო—შემდეგი შედგენილობით:

ა) უნივერსიტეტის და ასპირანტურისა და სამეცნიერო მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლების სექტორი;

ბ) სამეცნიერო და სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებათა სექტორი;

გ) კულტურის ძეგლთა დაცვის სექტორი.

4. თეატრებისა და სანახაობების საწარმოთა სამმართველო—შემდეგი შედგენილობით:

ა) თეატრების სექტორი;

ბ) სანახაობების საწარმოთა სექტორი.

[გ. განყოფილებები:

1. სკოლამდე აღზრდის განყოფილება.

2. მოზრდილთა სკოლებისა და კურსებისა, ქოხ-სამკითხველოებისა, კლუბებისა, კულტურის სახლებისა და კულტურის და დასვენების პარკების განყოფილება.

3. საგეგმო-საფინანსო განყოფილება.

4. სამშენებლო და სამომმარაგებლო განყოფილება.

5. სპეციალური განყოფილება.

6. საბიბლიოთეკო განყოფილება.

7. საქმეთა მმართველობა და სამდივნო.

III. დატოვებულ იქნეს განათლების სახალხო კომისარიატის სისტემაში: ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმეთა მთავარი სამმართველო და საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა („სახელგამი").]

IV. მოწყობილ იქნეს განათლების სახალხო კომისარიატთან: პარტიისა და მთავრობის მიერ სახალხო განათლების ხაზით მიღებულ უაღრესი მნიშვნელობის გადაწყვეტილებათა აღსრულების შემმოწმებელი ინსპექტურა და პროფესიონალურ-ტექნიკურ სასწავლებელთა კომიტეტი.

V. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის აპარატის ზემოაღნიშნულმა გარდაქმნამ არ უნდა გამოიწვიოს ამ კომისარიატის 1933 წლის ხარჯთ-აღრიცხვით გათვალისწინებული საადმინისტრაციო-სამეურნეო ხარჯების გადიდება.

VI. მიენდოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს) წარუდგინოს ერთი თვის ვადაზე საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატს ბჭოს პროექტი დადგენილებისა სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების აპარატის გარდაქმნის შესახებ; ბ) შეუთანხმოს ერთი დეკადის ვადაზე მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს თავისი შტატი და გ) წარუდგინოს ერთი თვის ვადაზე საქართველოს სსრ საკანონმდებლო ორგანოებს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის დებულების ახალი პროექტი და პროექტი დადგენილებისა საქართველოს სსრ კანონმდებლობაში ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებათა შეტანის შესახებ.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ელენტი.**

1933 წ. ოქტომბრის 11,

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 236 №-ში, 1933 წ. ოქტომბრის 12.

სისხლის სამართალი

335. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„დარღვევის ობიექტის ღირებულებასთან ჯერადობითი შეფარდებით დასადებ ფულად გადასახდელთა რაოდენობის გამოანგარიშების საფუძვლების თაობაზე" გამოცემული დადგენილების 1-ლი მუხლის „ა" პუნქტის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„დარღვევის ობიექტის ღირებულებასთან ჯერადობით შეფარდებით დასადებ ფულად გადასახდელთა რაოდენობის გამოანგარიშების საფუძვლების შესახებ" გამოცემული დადგენილების 1-ლი მუხლის „ა" პუნქტი (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-5 №.ი, მუხ. 78) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ა) სოფლის მეურნეობის პროდუქციისათვის—საბაზრო ფასები, რაც დადგენილია რაიონებისათვის სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის სარაიონო რწმუნებულის მიერ, ხოლო იქ, სადაც ეს რწმუნებული არ არის,—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის იმ მოადგილის მიერ, რომელიც გამოყოფილია დამზადებათათვის".

სრ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ა. ეოეიკაშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ელენტი.**

1933 წ. ოქტომბრის 14.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

336. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის XXXI თავისათვის 336[1], 336[2] და 336[3] მუხლების დამატების შესახებ.

„საარბიტრაჟო და სასამართლო გადაწყვეტილებათა თანახმად სამეურნეო ორგანოების კაპიტალური მშენებლობის ანგარიშებზე და მათი საექსპლოატაციო ანგარიშსწორების ანგარიშებზე გადახდევინების მიქცევის წესის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. ივნისის 1-ლის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1933 წ. 36 №-ი, მუხ. 216), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის XXXI თავს—„სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოსათვის და კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის გადახდევინება“ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-19 №-ი, მუხ. 205)—დაემატოს 336[1], 336[2] და 336[3] მუხლები შემდეგი შინაარსისა:

„336[1]. სამეურნეო ორგანოს კაპიტალური მშენებლობის ანგარიშს კრედიტორს შეუძლია მიაქციოს გადახდევინება არბიტრაჟის ან სასამართლოს მიერ ცნობილი მხოლოდ ისეთი პრეტენზიის გამო, რაც ეხება კაპიტალურ მშენებლობას; ამასთანავე, ეს გადახდევინება შეიძლება მიქცეულ იქნეს ყველა სახსარზე, რაც მიეცა სამეურნეო ორგანოს კაპიტალური მშენებლობისათვის, იმისდამიუხედავად, თუ რომელ ობიექტს ეხება და როდის აღიძრა კრედიტორის პრეტენზია, უკეთუ იგი დაფარული არ არის ხანდაზმულობით.

უკეთუ კაპიტალური მშენებლობის ანგარიშზე სახსარი არ აღმოჩნდება, გადახდევინება შეიძლება მიქცეულ იქნეს აგრეთვე სამეურნეო ორგანოს ყოველგვარ სხვა ქონებაზე, რაც კაპიტალურ მშენებლობას ეხება, იმ ქონების გარდა, რომელზედაც გადახდევინების მიქცევა მომქმედი კანონის მიხედვით არ შეიძლება“.

„336[2]. სამეურნეო ორგანოს საექსპლოატაციო ანგარიშსწორების ანგარიშზე და სხვა ქონებაზე, რაც კაპიტალურ მშენებლობას არ ეხება, გადახდევინების მიქცევა შეიძლება მხოლოდ ამ ორგანოს ისეთი ვალდებულებით, რომელიც გამომდინარეობს სხვა საფუძვლებიდან, კაპიტალური მშენებლობის გარდა“.

„336[3]. 336[1] და 336[2] მუხლების გამონაკლისად, არბიტრაჟის ან სასამართლოს სპეციალური დადგენილებით, რაც გამოტანილია იმ შემთხვევაში, როდესაც გამოირკვა სამეურნეო ორგანოს ერთი ანგარიშის დავალიანება მისი მეორე ანგარიშისადმი (დადგენილ ვადაზე საამორტიზაციო გადასახდელის და მოგების არ გადარიცხვის ან კაპიტალური მშენებლობისათვის დამზადებული მასალის საექსპლოატაციო საჭიროებაზე გამოყენების გამო), კაპიტალური მშენებ-

ლობის შესახები პრეტენზიის გადახდევინება შეიძლება მიქცეულ იქნეს ადგილობრივ-ნეო ორგანოს საექსპლოატაციო ანგარიშსწორების ანგარიშზე [illegible] სხვა საფუძვლებიდან გამომდინარე პრეტენზიის გადახდევინება შეიძლება მიიქცეს მისი კაპიტალური მშენებლობის ანგარიშზე".

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1933 წ. ოქტომბრის 27.

ტფილისი.

მუხ.

ფასი 60 კაპ.

მთავლიტი № 2015. საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა შეკ. № 1997. ტირაჟი 1.500